

შპს“PAPERGEO”

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წელი 2024

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი
შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1 შ.პ.ს. „PAPERGEO“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2011 წლის 18 ნოემბერს. ს/ნ 404918737.

კომპანიის დამფუძნებელი: ლაშა შაორშაძე პ/ნ 18001000817. 50% წილის მფლობელი

პარტნიორი ალექსანდრე შაორშაძე პ/ნ 18001002288. 50% წილის მფლობელი

კომპანიის დირექტორი: ლაშა შაორშაძე პ/ნ 18001000817.

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი დიდუბის რაიონი, კედიას № 9, არასაცხოვრებელი ფართი
1

ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი დიდუბის რაიონი, კედიას № 9 (ოფისი) და საქმიანობის
ფაქტობრივი ადგილი ზესტაფონის რაიონი აღმაშენებლის 2 ჩიხი 3.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 0 ლარს.

1.2 კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს თერმული და მუყაოს ქაღალდის
გადამუშავებას: დაჭრა, დაფასოება, დისტრიბუცია.

1.3 საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, მას არ გააჩნია საჯარო
ანგარიშვალდებულება.

1.4 არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5 საწარმოს არ გააჩნია ფილიალები.

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 კომპანიის მიერ, 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება მსს ფინანსური ანგარიშგების
სტანდარტის შესაბამისად.

2.2 კომპანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადავიდა 2018 წლის პირველი იანვრიდან.

2.3 სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

2.4 კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად.

2.5 კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6894	2,9753
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	2,8068	2,9306

2.6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავიდან აღიარდება გარიგების ფასით. შემდეგ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. გამოკლებული გაუფასურების რეზერვი, მისი არსებობის შემთხვევაში.

2.7 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეული იქნა.

2.8 მოგების გადასახადი. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

2.9 კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულების მოდელით.

3.10 გაცემული დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს, კლასიფიცირებულია როგორც ფინანსური ოპერაციები.

2.11 კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულებების მოდელს. ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ბალანსში ასახულია ცვეთის გამოკლებით. მცირე შეკეთება-განახლება აისახება მოგებ/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე, მისი ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

2.12 შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით:

- ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები, ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით.

2.13 საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს, საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).

2.14 სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

2.15 რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

2.16 სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

2.17 კომპანიამ გამოიყენა სარასის შეღავათები და შესაბამისად ფულადი ნაკადების ანგარიშგება არ მოუმზადებია.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	შენიშვნები
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	103369	81710	1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	149851	326082	2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	104568	206540	3
მარაგები	1085078	1029501	4
მზა პროდუქცია	252599	257289	
სხვა - ნედლეული და მასალები	832479	772212	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	2682	2682	5
ძირითადი საშუალებები	644657	635451	6
სულ აქტივები	2090205	2212722	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	4800	4800	
სავაჭრო ვალდებულებები	375991	284320	7
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	352	232	
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	557542	564327	7
სხვა ვალდებულებები	0	0	
სულ ვალდებულებები	938685	853679	
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)			
წლების მანძილზე დაგროვილი მოგება	1151520	1395287	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	33000	8
სულ საკუთარი კაპიტალი	1151520	1428287	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2090205	2281966	
სულ მოკლევადიანი აქტივები	1	1	

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023	შენიშვნები
ნეტო ამონაგები	3278674	3498212	9
საქონლის გაყიდვიდან	3278674	3498212	
გაყიდვების თვითღირებულება	-2683907	-2863201	
საერთო მოგება	594767	635011	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-388552	-456513	
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-46745	-46059	
საპროცენტო ხარჯი	-41878	-29493	
იჯარის ხარჯი	-4800	-4800	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-43858	-35413	
სულ საოპერაციო ხარჯები	-525833	-572278	10
საოპერაციო მოგება	68934	62733	
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-23466	-41885	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	45468	20848	
მოგების გადასახადის ხარჯი	-39288		11
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	6180	20848	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	6180	20848	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1428287	1407439	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-208947	0	11
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-74000	0	8
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1151520	1428287	

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1

ფულადი სახსრები

ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	52192
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	15250
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	35927
<u>სულ ფულადი სახსრები:</u>	<u>103369</u>

შენიშვნა 2

სავაჭრო მოთხოვნები

არსებული სავაჭრო მოთხოვნები მიწოდებიდან	149851
<u>სულ სავაჭრო მოთხოვნები</u>	<u>149851</u>

შენიშვნა 3. გადახდილი ავანსები:

მომწოდებელზე გადახდილი ავანსები (გერმანია, თურქეთი, ჩინეთი)	55564
დაგროვებითი პენსია	5955
საბაჟოზე გადახდილი ჩასათვლელი დღგ	38304
ქონების გადასახადი ავანსი	4745
<u>სულ მომწოდებელზე გადახდილი ავანსები</u>	<u>104568</u>

შენიშვნა 4. სასაქონლო მატერიალური მარაგები

მზა პროდუქცია:

(სალაროს სხვადახსვა ზომის: ლენტები, წებოვანი სასწორის ლენტები, სკოჩი)	252599
---	--------

ნედლეული და მასალები:

(ობსექტის ქაღალდი, ფლუტინგი-ყავისფერი ქაღალდი, თერმული ქაღალდი, წებო, გოფირებული ყუთები, პოლიეთილენის ფირები, საღებავი)	751582
---	--------

სამეურნეო მარაგები:

პადონები, კვების ბლოკი, ფულის სათვლელი მეორადი, (სამეურნეო მოხმარების წვრილმანები)	13567
მცხეთია რ-ნი გოროვანში, ოფისის აშენებისას დარჩენილი იარაღები	36465
სამეთვალყურეო კამერები	2102
ამოსაკვეთი დანები	24506
დაზგის ღვედები/რემენი	1374
შესაფული ფირი ცელოფნის	2883

<u>სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები</u>	<u>1085078</u>
---	----------------

შენიშვნა 5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი - 2682 ლ ბუღალტრული პროგრამა

შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები

დასახელება	მანქანა დანადგარები და სხვა მოწყობილობები	კომპიუტერული ტექნიკა	ოფისის ალკურვილო ბა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	იჯარით აღებული ქონების კეთილმო წყობა	მცირეფასიანი	შენობა	მიწის ნაკვეთი	სულ
31.12.23	388766	24316	7649	100597	4697	12742	225858	92300	856925
შემოსვლა	47786	8811	5516		16686				78799
გასვლა	(45105)	(8737)				(8809)			(62651)
31.12.24	391447	24390	13165	100597	21383	3933	225858	92300	873073
ცვეთა და გაუფასურება									0
31.12.23	(175175)	(10999)	(5895)	(26573)	(2832)				(221474)
ცვეთა	(25364)	(6068)	(2270)	(12718)	(325)				(46745)
გაუფასურება	43005		(3203)						39802
გასვლა									0
31.12.24	(157534)	(17067)	(11368)	(39291)	(3157)	0	0	0	(228417)
წმინდა საბალანსო ღირებულება									0
31.12.23	213591	13317	1754	74024	1865	12742	225858	92300	635451
31.12.24	233913	7323	1797	61306	18226	3933	225858	92300	644656

ცვეთის მეთოდი წრფივი

ნეტო საბალანსო ღირებულება

644657

შენიშვნა 7 ვალდებულებები

უცხოელი პარტნიორებზე გადასახდელი ვალდებულება	362409
ადგილობრივი პარტნიორებზე გადასახდელი ვალდებულება	13582
გადასახდელი ხელფასი	352
გადასახდელი იჯარა	4800
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	557542
/გრძელვადიანი სესხების, საკრედიტო ხაზის დაფარვის ვადაა 2026 წლის 30 მაისი (ყოველწელს განახლებადი), ნომინალური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 9,6 %.	
სესხის თანხა არის 190000 ევრო, აქედან 2024 წლის ბილოსთვის ათვისებულია 179934 ევრო. /	

სულ ვალდებულებები

938685

შენიშვნა 8 საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი პერიოდის დასაწყისში

1428287

დამფუძნებლების მიერ 2022-2023 წლებში, კომპანიაში შემოტანილი თანხა, 41000 ლარი და 33000 ლარი, ჩაწერილი იყო ფინანსური მდგომარეობის კაპიტალის სხვა კომპონენტებში და მისი გატანა ჩაწერილია საქმიანობის შედეგების, კაპიტალის სხვა ცვლილებებში -74000ლ.

სულ საკუთარი კაპიტალი**1151520****შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგება-ზარალის შესახებ ახსნა განმარტება****შენიშვნა 9 ამონაგები**

ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან

3278674

სულ ამონაგები**3278674****შენიშვნა 10 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი**

შრომის ანაზღაურება	388552
ცვეთა ამორტიზაცია	46745
საპროცენტო ხარჯი	41878
იჯარის ხარჯი	4800
საბანკო ხარჯი	5807
მივლინების ხარჯი	12215
საგადასახადო ხარჯი/ ქონების გადასახადი	10072
კომუნალური მომსახურება	4663
ქონებისა და განსაკუთრებული შემთხვევის დაზღვევა	5139
შემოსავლების სამსახურის მომსახურება	2390
დაცვის მომსახურება და სხვა მომსახურებები	3572

სულ ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯი :**525833****შენიშვნა 11 მოგების გადასახადის ხარჯი**

გაცემულია დამფუძნებლებზე დივიდენდი 208947 რის საფუძველზეც გადახდილია

მოგების გადასახადი 39288

მოგების გადასახადის ხარჯი 39288

ფინანსური ანგარიში დამტკიცებულია **2025 წლის 20 სექტემბერს**

შპს „PAPERGEO“-ის დირექტორი ლ. შაორშაძე

